ინფორმაცია სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2023-2024 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

(ცნობა საჯარო განხილვისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ)

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს 2022 წლის 1 დეკემბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში'' (მისამართი ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის ქ. N41) დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს 2023-2024 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭო ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35[9] მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' და ,,კ'' ქვეპუნქტებიდან გამომდინარე მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების საფუძველზე საზოგადოებას საჯარო განხილვისთვის წარუდგენს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს 2023-2024 წლების პროგრამული პრიორიტეტების პროექტს. (იხ. სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს ვებ-გვერდი www.ajaratv.ge). ვებ-გვერდზე განთავსებულია ასევე აღნიშნულ საჯარო ადმინიტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

პროგრამული პრიორიტეტების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლით წერილობით წარმოადგინოთ სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ში. (მის: ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის ქ. N41) ან გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართზე ajaratvboard@gmail.com ოცი დღის განმავლობაში. (2022 წლის 1 დეკემბრიდან 2022 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით).

პირი უფლებამოსიალია საკუთარი მოსაზრების წარდგენისას არ მიუთითოს თავისი ვინაობა.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს 2023-2024 წლების პროგრამული პრიორიტეტების საბოლოო გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს სხდომა (ზეპირი მოსმენა) ჩატარდება არაუგვიანეს 2022 წლის 22 დეკემბრისა, რომლის თაობაზეც საზოგადოება დამატებით იქნება ინფორმირებული.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭო 2023-2024 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართელბრივ აქტს გამოსცემს აღნიშნული სხდომის ჩატარებიდან/დასრულებიდან 10 დღის ვადაში.